მომხმარებლის ავტორიზაციის რეპორტის ინსტრუქცია

იმისათვის რომ, ელექტრონულ ჟურნალში ვიხილოთ მომხმარებლის ავტორიზაციის რეპორტი უნდა ავირჩიოთ მოდული „მონაცემები“ და შემდგომ „სისტემაში მომხმარებლის ავტორიზაცია“. რეპორტი აჩვენებს მომხმარებელთა ავტორიზაციის რაოდენობას სიხშირის მიხედვით, რომელიც არის: მაღალი, საშუალო ან დაბალი.“



პარამეტრის გამოყენებით შესაძლებელია ნებისმიერი დროის მონაკვეთის მითითება და ამ პერიოდისთვის ავტორიზაციის რაოდენობის ნახვა. ავტორიზაციის მონაკვეთი ავტომატურად მოიცავს მიმდინარე სასწავლო წელს, თუმცა შესაძლებელია თარიღების ინდივიდუალური მორგება. ბარათზე წვდომა აქვთ რესურსცენტრებს, სკოლის დირექტორებსა და ჟურნალის ადმინისტრატორებს.



სიის ჩაშლის შემდეგ გამოჩნდება პერსონალის სია. თითოეული სკოლის ჭრილში დაგენერირდება ყველა თანამშრომელის სახელი და გვარი, მის გასწვრივ კი ავტორიზაციის ზუსტი რაოდენობა.
ავტორიზაციის რეპორტი იძლევა მომხმარებელთა აქტივობის ზუსტ რაოდენობას სხვადასხვა პერიოდის მითითებით, თუმცა იგი არ წარმოადგენს **საკმარის და სრულფასოვან ინსტრუმენტს** ინფორმაციის სიღრმისეული ანალიზისთვის. კერძოდ, **მხოლოდ ამ პარამეტრზე დაყრდნობით არ უნდა მოხდეს მასწავლებლის მუშაობის შეფასება** ელექტრონულ ჟურნალში. დამატებით, აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: რამდენად სრულად არის ასახული ინფორმაცია მასწავლებლის მიერ, და რამდენად ეფექტურად იყენებს სრულ ფუნქციონალს, მაგალითად, გასცემს დავალებებს, ასახავს ინფორმაციას მოსწავლეთა დასწრების შესახებ და სხვა.



წითელი ფერით გამოჩნდება იმ პერსონალის ზოგადი რაოდენობა, რომელთაც არჩეულ პერიოდის განმავლობაში არც ერთხელ არ გაუვლიათ სისტემაში ავტორიზაცია ,

ყვითელი ფერით გამოჩნდება იმ პერსონალის ზოგადი რაოდენობა, რომლებსაც ავტორიზაციის საშუალო მაჩვენებელი აქვთ, რომელიც ითვლება სკოლისთვის ინდივიდუალურად. არჩეულ პერიოდში პერსონალის მიერ განხორციელებული ავტორიზაციების რაოდენობა იყოფა პერსონალის რაოდენობაზე.

მწვანე ფერით გამოჩნდება იმ მომხმარებლების ზოგადი რაოდენობა, რომელთაც საშუალოზე მაღალი ავტორიზაციის მაჩვენებელი აქვთ.